



**ევრაზიული საბაჟო
კავშირის საფრთხეები
ევროინტეგრაციის გზაზე
საქართველოს პერსპექტივა**



ევრაგიული საბაჟო კავშირის საფრთხეები ევროინტეგრაციის გზაზე საქართველოს პერსპექტივა

ნიმუ ევგენიძე – ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი
(EPRC)

მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

სარჩევი

ისტორიული კონტექსტი.....	5
ევრაზიის საბაჟო კავშირის ეკონომიკური ასპექტები	6
ევრაზიული საბაჟო კავშირის შედარება სხვა პრეფერენციულ სავაჭრო რეჟიმებთან.....	9
1. უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი.....	9
2. პრეფერენციათა განზოგადებული სისტემა (GSP).....	9
3. პრეფერენციათა განზოგადებული სისტემა – (GSP +).....	10
4. თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება.....	10
ევრაზიული საბაჟო კავშირი – საქართველოს პერსპექტივა	11
გამოყენებული ლიტერატურა.....	16



ისტორიული კონტექსტი

ევრაზიული საბაჟო კავშირის ისტორია 1995 წლიდან იწყება, როდესაც რუსეთმა ხელი მოაწერა შეთანხმებას საბაჟო კავშირის შექმნაზე ბელარუსთან და ყაზახეთთან და მოგვიანებით, 1997 წელს, მათ ტაჯიკეთიც შეუერთდა. 2000 წელს ქვეყანათა ეს ჯგუფი საერთაშორისო ორგანიზაციად – ევრაზიის ეკონომიკურ თანამეგობრობად გარდაიქმნა. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობისგან განსხვავებით, ევრაზიის ეკონომიკური თანამეგობრობა ავალდებულებს ხელმომწერებს მოახდინონ რატიფიცირებული ვალდებულებების უპირობო შესრულება; ამავე დროს შეიქმნა მუდმივმოქმედი აღმასრულებელი საერთაშორისო საბჭო და დაგეგმილია სპეციალური სასამართლოს შექმნა დავების გადაწყვეტის პროცესის გასაუმჯობესებლად. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ გაერთიანების მომავალ ცენტრად რუსეთი განიხილებოდა. თუმცა, საბოლოოდ, ჩაფიქრებული სავაჭრო და საბაჟო ინტეგრაცია შეზღუდული აღმოჩნდა, ვინაიდან ევრაზიის ეკონომიკური თანამეგობრობის წევრი სახელმწიფოები სპეციალურ სავაჭრო რეჟიმებს და კვოტებს მაინც იყენებდნენ. სწორედ ამიტომ გაჩნდა საერთო საბაჟო კავშირის შექმნის იდეა. შეთანხმებას საბაჟო კავშირის შექმნაზე ხელი 2007 წლის ოქტომბერში მოენერა. სამმა წევრმა საბაჟო კავშირის კომისია ჩამოაყალიბა, ხოლო ამ კავშირის მთავარი დოკუმენტი – საბაჟო კავშირის კოდექსი – ძალაში 2010 წლის ივლისში შევიდა. 2011 წლის ივლისში გაკეთდა განცხადება წევრ ქვეყნებს შორის სასაზღვრო კონტროლის გაუქმების შესახებ [1].

2012 წლის იანვრისთვის, საბაჟო კავშირი უფრო ღრმად ინტეგრირებულ სივრცედ გარდაიქმნა და იგი საერთო ეკონომიკურ სივრცეს წარმოადგენს. კავშირის ოფიციალური სახელწოდება – ევრაზიული საბაჟო კავშირი ევრაზიის ეკონომიკური განვითარების ფარგლებში, მართალია თითქოს ამ კავშირს ეკონომიკურ დატვირთვას ანიჭებს, მაგრამ ყველა თანხმდება, რომ მისი მთავარი მიზანი პოლიტიკურია. ამ მოსაზრებას ამყარებს ევრაზიის ეკონომიკური კავშირის კომპეტენციის როგორც არსებული, ასევე მომავალი სფეროები. კავშირი შემდეგი მიზნების მიღწევას ისახავს:

1. წევრ სახელმწიფოებს შორის თავდაცვის სფეროში თანამშრომლობა კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის საფუძველზე. საერთო ძალოვანი უწყებების ჩამოყალიბება შიდა კონფლიქტების მოსაგვარებლად. კავშირის თავდაცვის ცენტრი არის მოსკოვი.
2. საერთო პარლამენტისა და აღმასრულებელი ორგანოების ჩამოყალიბება;
3. 2022 წლისთვის საერთო ვალუტის (სავარაუდოდ, რუსული რუბლის) შემოღება;
4. საგარეო პოლიტიკის კოორდინირება რუსეთის ფედერაციასთან;
5. საერთო საგანმანათლებლო სივრცის შექმნა;
6. საერთო საბანკო სივრცის შექმნა;
7. საერთო საბაჟო და ეკონომიკური სივრცის შექმნა.

ევრაზიული საბაჟო კავშირი, საერთო ეკონომიკური სივრცის კონცეფციასთან ერთად, 2015 წლის 1 იანვარს შევა ძალაში [1]. კავშირმა უკვე შემოიღო საერთო საგარეო სავაჭრო ტარიფები [2], ხოლო საზღვრებზე კონტროლი ჯერ ბელარუსსა და რუსეთს, ხოლო შემდეგ რუსეთსა და ყაზახეთს შორის გაუქმდა. ამის შედეგად ბელარუსის და რუსეთის საგარეო სავაჭრო ტარიფები ოდნავ შემცირდა, ხოლო ყაზახეთისა მკვეთრად გაიზარდა. გარდა ამისა, ევრაზიულმა საბაჟო კავშირმა განსაზღვრა სანიტარულ და ფიტოსანიტარულ ღონისძიებებთან დაკავშირებული წესები ამ სამი ქვეყნის ექსპორტისა და იმპორტისათვის [3].

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ახლად აღმოცენებული დამოუკიდებელი ქვეყნების რეინტეგრაციისთვის რიგი ინიციატივების განხორციელება დაიწყო. თუმცა, მათგან განსხვავებით, ითვლება, რომ ევრაზიული საბაჟო კავშირი უფრო მყარ ინსტიტუციურ სტრუქტურას ეფუძნება, რომელიც შესაბამისობაშია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის რეჟიმსა და თანამედროვე ინსტიტუციურ ნორმებთან. გარდა ამისა, ძირითადი აქცენტი კავშირის ეკონომიკურ სარგებელზე კეთდება, ვიდრე „საერთო ღირებულებებსა და ისტორიაზე“, როგორც ეს წინა ინიციატივების შემთხვევაში იყო. ევრაზიული საბაჟო კავშირის სტრუქტურა ევროკავშირის მოდელის მიხედვით არის აგებული და ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის ალტერნატივას წარმოადგენს [1]. მიუხედავად იმისა, რომ აქცენტი წვერი სახელმწიფოების მდგრად ეკონომიკურ სარგებელზე კეთდება, საბაჟო კავშირის ეკონომიკური შედეგები საეჭვოა და ბევრი მკვლევარისთვის საკამათოა.

ევრაზიის საბაჟო კავშირის ეკონომიკური ასპექტები

ჩვენი ორგანიზაციის, ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის, პროფილიდან გამომდინარე, ყურადღებას ევრაზიული საბაჟო კავშირის ეკონომიკურ ასპექტებზე გავამახვილებთ. დღეს, ევრაზიული კავშირის მომხრეები ხაზს უსვამენ წევრობის ეკონომიკურ სარგებელს, ანუ იმ სარგებელს, რომელსაც რუსეთის ბაზარი მოუტანს საქართველოს პროდუქციას მზარდი საექსპორტო პოტენციალისა და შესაბამისად, ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით. ჩვენ დეტალურად გავაანალიზებთ ამ მოლოდინებსა და რეალურ პერსპექტივებს:

დღეისათვის, ევრაზიული საბაჟო კავშირი სამი ქვეყნის – ბელარუსის, ყაზახეთისა და რუსეთის – ეკონომიკური ინტეგრაციაა. როგორც აღინიშნა, ეს კავშირი ითვალისწინებს **„წევრ სახელმწიფოებს შორის საექსპორტო გადასახადებისა და ეკონომიკური შეზღუდვებისგან თავისუფალ საერთო საბაჟო სივრცის“ შექმნას. თუმცა, „წევრ სახელმწიფოებს, საჭიროების შემთხვევაში, შეუძლიათ გამოიყენონ საგანგებო დამცავი, ანტი-დემპინგური და საკომპენსაციო ღონისძიებები.“** ეს კი იმას ნიშნავს, რომ მიუხედავად მიღწევებისა და გაფართოებისა, ეს კავშირი ჯერ-ჯერობით არ არის რეალურად ჭეშმარიტი საბაჟო კავშირი, ვინაიდან მისი წევრები კვლავ იყენებენ პროტექციონისტულ ბარიერებს და წესებიდან გამონაკლისებს უშვებენ [3].



საგულისხმოა, რომ საქართველო ჯერ კიდევ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) წევრი იყო (ქვეყანამ დსთ ოფიციალურად 2008 წლის ომის შემდეგ დატოვა), როდესაც რუსეთმა მის წინააღმდეგ, 2006 წელს, ეკონომიკური ემბარგო დაანება. მეტიც, ეს ემბარგო რუსეთმა სურსათის უვნებლობის ზომებს დაუკავშირა. ეს კარგი მაგალითია იმის გასათვითცნობიერებლად, რომ ევრაზიული კავშირის წევრობა არ არის იმის გარანტია, რომ ქართული პროდუქცია არ აღმოჩნდება „საგანგებო დამცავი“ სანქციების ქვეშ, როგორც ეს კავშირის დოკუმენტში წერია. გარდა ამისა, მიგვაჩნია, რომ ამ ტიპის გამონაკლისები სწორედ ისეთი ქვეყნებისთვის არის განსაზღვრული, როგორც საქართველოა. ამ ვარაუდს ამყარებს ის ფაქტიც, რომ საბაჟო კავშირის კომისიაში, რომლის ფუნქციაც ევრაზიულ საბაჟო კავშირში გადანყვეტილებების მიღებაა, ხმები ისეა განაწილებული, რომ რუსეთს ხმათა 57%, ხოლო ბელარუსსა და ყაზახეთს, თითოეულს, 21.5% აქვს მინიჭებული. ეს იმას ნიშნავს, რომ ფორმალურად, რუსეთს ყოველთვის მოუხდება გადანყვეტილების მინიმუმ ერთ სხვა წევრთან შეთანხმება, თუმცა ბელარუსმა და ყაზახეთმა ერთობლივადაც რომ იმოქმედონ, მათი ხმები რუსეთისას მაინც ვერ გადაწონის. სხვა სიტყვებით თუ ვიტყვით, რუსეთისთვის ევრაზიული საბაჟო კავშირი არის პოსტ-საბჭოთა სივრცის რეინტეგრაციის საშუალება, მათ შორის იმ ქვეყნების, რომლებიც ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამაში ხვდებიან [2]. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ევრაზიული საბაჟო კავშირის წევრობა რაიმე პოლიტიკურ პირობებს არ აყენებს: ყველა პოსტ-საბჭოთა ქვეყანას, მათი პოლიტიკური რეჟიმების მიუხედავად, შეუძლია საბაჟო კავშირში განწევრიანება.

2010-დან 2011 წლამდე, ვაჭრობა სამ წევრ სახელმწიფოს შორის (რუსეთი, ყაზახეთი და ბელარუსი) მნიშვნელოვნად გაიზარდა. თუმცა, ეს ზრდა ძირითადად ორ წამყვან ეკონომიკაზე – ყაზახეთსა და რუსეთზე – აისახა. ყაზახეთის იმპორტმა, 2009 წლიდან 2011 წლამდე, ორ-მესამედზე მეტით მოიმატა, ხოლო ექსპორტი, ამავე პერიოდში, გაორმაგდა. ეს ზრდა შეიძლება, ნაწილობრივ, გლობალური კრიზისის შემდეგ პოსტ-კრიზისული გაჯანსაღებით აიხსნას [3]. თუმცა, მიგვაჩნია, რომ ამ ორი ცენტრალური ეკონომიკის სიდიდისა და სიძლიერის გათვალისწინებით, შესაძლებელია საქართველო არ აღმოჩნდეს იმ ბენეფიციართა შორის, რომლებსაც კავშირი სარგებელს მოუტანს. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის თანახმად, საბაჟო კავშირი, როგორც ჩანს, მხოლოდ რუსეთისთვის აღმოჩნდა ხელსაყრელი ტარიფებთან დაკავშირებული ახალი სავაჭრო ნაკადების შექმნით [4].

გარდა ამისა, საქართველოს მოუწევს შეღავათების მინიჭება რუსეთიდან და სხვა წევრი სახელმწიფოებიდან პროდუქციის იმპორტისთვის, რომელთა უმეტესობაც ქვეყანაში ახლა თურქეთიდან და ჩინეთიდან შემოდის. შედეგად ეს საქართველოში კონკურენციას დაამახინჯებს, რასაც ფასების მატება და ხელმისაწვდომი პროდუქციის ხარისხის გაუარესება მოყვება. იმ პროდუქტების ფასები, რომლებიც არაწევრი ქვეყნებიდან შემოვა, შესაძლოა არაადეკვატურად გაძვირდეს განსხვავებული საბაჟო რეჟიმების გამო. აქედან გამომდინარე, შეიძლება საბჭოთა კავშირის დროს არსებული ვითარების მსგავს სიტუაციაში აღმოვჩნდეთ, როდესაც საქართველოს მოსახლეობას არჩევანი ექნება რუსეთისა და ევრაზიული კავშირის სხვა წევრი ქვეყნებიდან იმპორტირებულ პროდუქციასა და დანარჩენი ქვეყნებიდან იმპორტირებულ ძვირადღირებულ პროდუქციას შორის.

ასეთი პერსპექტივა შესაძლოა ვინმეს არარეალური მოეჩვენოს 21-ე საუკუნეში, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოცა და რუსეთიც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრები არიან. თუმცა, ამის ნათელი მაგალითია ბელარუსის და ყაზახეთის შემთხვევები – კავშირის მოთხოვნებიდან გამომდინარე ამ ქვეყნებმა ავტომობილების იმპორტზე ტარიფები 5-დან 15%-მდე გაზარდეს, რის შედეგადაც ამ ქვეყნებში უფრო მეტი რუსეთში დამზადებული ავტომობილის შესყიდვა მოხდა, ვიდრე ადრე ხდებოდა. ეს პერსპექტივა არც ისეთი არარეალური ჩანს, თუ კავშირის რეგულაციებს გადავხედავთ:

„კავშირის წევრები მესამე ქვეყნებთან ვაჭრობაში ერთსა და იმავე წესებსა და რეგულაციებს იყენებენ.“

წევრ სახელმწიფოებს შორის სავაჭრო ნაკადების ანალიზმა, რომელიც ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა გააკეთა, აჩვენა, რომ სატარიფო პოლიტიკამ საკმაოდ უმნიშვნელო გავლენა მოახდინა საბაჟო კავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის სავაჭრო ნაკადებზე. სხვა სავაჭრო პარტნიორებთან ურთიერთობებში ტარიფების გაზრდამ კი მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა იქონია საბაჟო კავშირის წევრებსა და სხვა სავაჭრო პარტნიორებს შორის ვაჭრობაზე. ეს უარყოფითი გავლენა განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო ჩინეთთან ვაჭრობაზე და შედარებით ნაკლებად მნიშვნელოვანი ევროკავშირის ქვეყნებთან მიმართებაში [4] [5]. ამრიგად, საბაჟო კავშირი იწვევს ვაჭრობის გარკვეულ შეზღუდვას, რაც არც ეკონომიკურად და არც პოლიტიკური მომგებიანი არ არის.

აზერბაიჯანის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ცენტრის აზრით, მიუხედავად ეკონომიკური სარგებლისა, რომელიც შესაძლოა აზერბაიჯანმა ევრაზიის საბაჟო კავშირისგან მიიღოს, ამ კავშირში გაწევრიანება მნიშვნელოვან არახელსაყრელ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ფაქტორებთან არის დაკავშირებული. მკვლევრების აზრით, აზერბაიჯანის მთავრობას ტარიფების დაწევა და სავაჭრო ბარიერების გაუქმება ევრაზიულ საბაჟო კავშირში გაუწევრიანებლადაც შეუძლია, რაც საგარეო ვაჭრობას წაახალისებს და ისეთივე ეკონომიკურ სარგებელს მოუტანს ქვეყანას. ამავე დროს, ეკონომიკური და სოციალური განვითარების ცენტრის ექსპერტები იმასაც აღნიშნავენ, რომ რუსეთს აზერბაიჯანზე ზემოქმედების მძლავრი პოლიტიკური ბერკეტი აქვს, განსაკუთრებით რუსეთში აზერბაიჯანის მოქალაქეებისთვის (არაოფიციალურად, თითქმის 2 მილიონი) მუშაობის და ბიზნესის კეთების აკრძალვის სახით. ეს ბერკეტი რუსეთმა შეიძლება გამოიყენოს აზერბაიჯანის კავშირში იძულებით გაწევრიანების მიზნით. ასეთ შემთხვევაში, ქვეყანა, შესაძლოა, ევროკავშირსა და თურქეთთან სავაჭრო კავშირების დაკარგვის საფრთხის წინაშე აღმოჩნდეს, განსაკუთრებით ენერგორესურსების სფეროში [6] [7]. ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ სომხეთიც აიძულეს, თანხმობა გამოეთქვა კავშირში გაწევრიანებაზე. ამ საკითხს ქვევით უფრო ვრცლად განვიხილავთ.



ევრაზიული საბაჟო კავშირის შედარება სხვა პრეფერენციულ სავაჭრო რეჟიმებთან

ევრაზიულ საბაჟო კავშირში განეწინააღმდეგებინათ, საქართველოს მოუწევს უარის თქმა იმ პრეფერენციებზე, რომლებიც მას მინიჭებული აქვს მსოფლიო ბაზრებზე, ან იმათზე, რომლებსაც მომავალში მოიპოვებს. მაგალითად, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების სახით. ნევრი ქვეყნების თანაბარ პირობებში ჩაყენება ევრაზიული საბაჟო კავშირის მოთხოვნაა და ამავდროულად, ევროკავშირის წინაპირობა. ამრიგად, საბაჟო კავშირის ნევრობა ევროინტეგრაციის პროცესს არ შეესაბამება.

ვინაიდან ყურადღებას ეკონომიკურ მიზანშეწონილობაზე ვამახვილებთ, ქვემოთ მოკლედ მიმოვიხილავთ იმ პრეფერენციულ სავაჭრო რეჟიმებს, რომლებიც საქართველო ამჟამად სარგებლობს [8] და რომლებსაც, ევრაზიის საბაჟო კავშირში განეწინააღმდეგებინათ, შეიძლება საფრთხე დაემუქროს.

1. უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი

საქართველოს სავაჭრო პარტნიორების უმეტესობა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრია და ამიტომ, სავაჭრო ურთიერთობები ამ 153 ქვეყანასთან უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის პრინციპებს ემყარება. ეს ნიშნავს, რომ ქვეყნებმა, რომლებზეც ეს რეჟიმი ვრცელდება, უნდა მიიღონ თანაბარი საავაჭრო უპირატესობები და არ უნდა ჰქონდეთ დისკრიმინაციული მიდგომა ვაჭრობაში. თუმცა უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი უშვებს გამონაკლისებს საბაჟო კავშირის შექმნის ან თავისუფალი ვაჭრობის/რეგიონული ვაჭრობის ხელშეკრულებების შემთხვევაში. ეს კი ნიშნავს, რომ ევრაზიული საბაჟო კავშირი, როგორც ამ ნაშრომშია განხილული, შეესაბამება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის სტანდარტებს.

2. პრეფერენციათა განზოგადებული სისტემა (GSP)

ამ შეღავათის მთავარი იდეაა, რომ განვითარებულმა ქვეყნებმა ხელი შეუწყონ ექსპორტის ზრდას განვითარებადი ქვეყნებიდან. პრეფერენციათა განზოგადებული სისტემის (GSP) არსი მდგომარეობს ბენეფიციარი ქვეყნებისთვის დაბალი საიმპორტო ტარიფების დანესებაში, რაც განვითარებად ქვეყნებს განვითარებული ქვეყნების ბაზრებზე შეღწევის გაუადვილებს. პრეფერენციათა განზოგადებული სისტემა საქართველოს შემდეგმა ქვეყნებმა და ქვეყანათა ჯგუფებმა მიანიჭეს: ევროკავშირი, აშშ, იაპონია, კანადა, შვეიცარია და ნორვეგია. აშშ-ის პრეფერენციული სქემა პროდუქტთა ვრცელ ჩამონათვალს მოიცავს, მათ შორის საქართველოს ყველაზე მნიშვნელოვან საექსპორტო პროდუქტებს, როგორებიცაა კაკალი, ჩირი, მინერალური წყლები, ზოგიერთი სახეობის ღვინო, სპილენძი, ფეროშენადნობები და სხვა.

3. პრეფერენციათა განზოგადებული სისტემა – (GSP +)

2005 წლიდან საქართველო სარგებლობს პრეფერენციათა განზოგადებული სისტემის ახალი სტეპით – პრეფერენციათა განზოგადებული სისტემა – (GSP +). თუ GSP-ის შემთხვევაში, პრეფერენციების სტემა 3,300 დასახელების პროდუქტს მოიცავდა, რომელთა იმპორტი ევროკავშირში საბაჟო ტარიფებისგან თავისუფლდებოდა, GSP+ ფარავს 7,200 დასახელების ქართულ პროდუქტს, რომლებიც ნულოვანი საბაჟო განაკვეთით შეიძლება მოხვდეს ევროკავშირის ბაზარზე. ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯია საქართველოს ექსპორტის ხელშეწყობის თვალსაზრისით.

4. თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება

საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს დსთ-ის წევრ ქვეყნებთან (რუსეთის ჩათვლით) და თურქეთთან. 1994 წლიდან საქართველო სარგებლობს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმებით დსთ-ის ქვეყნებთან, რაც ნიშნავს იმას, რომ საქონელი და მომსახურება არ იბეგრება იმპორტზე საბაჟო გადასახადებით. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ იმ შედეგებით, რომლებსაც ევრაზიის საბაჟო კავშირი მის ნევრებს ვაჭრობასთან დაკავშირებით სთავაზობს, საქართველო უკვე მეტ-ნაკლებად სარგებლობს. თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 2006 წელს, რუსეთმა, თავისუფალი სავაჭრო რეჟიმის მიუხედავად, საქართველოს პროდუქტებზე ემბარგო მაინც დააწესა, რომელიც ნაწილობრივ 2013 წელს მოიხსნა.

თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება თურქეთთან 2008 წელს გაფორმდა. სრულად გაუქმდა საბაჟო მოსაკრებლები სამრეწველო პროდუქტების იმპორტზე, ხოლო ორივე ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე საგანგებო გამონაკლისები დაწესდა.

ევრაზიის საბაჟო კავშირში განევრიანება, სულ ცოტა, საფრთხეს შეუქმნის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებას, რომელიც საქართველოს თურქეთთან აქვს. თურქეთის ბაზარი ძველი პირობებით აღარ იქნება საქართველოსთვის ხელმისაწვდომი.

უნდა აღინიშნოს, რომ დღეის მდგომარეობით, საქართველო ვერ სარგებლობს ბევრი იმ შედეგათითა და პრეფერენციით, რომლებიც მინიჭებული აქვს. თუმცა, პოტენციალი უზარმაზარია და სწორი მიდგომის შემთხვევაში, შესაძლებელია ამ პრეფერენციების გამოყენება ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის.



ევრაზიული საბაჟო კავშირი – საქართველოს პერსპექტივა

შეიძლება თუ არა ევრაზიულმა საბაჟო კავშირმა გადართოს ის შედეგები, რომლებიც საქართველო დღეს სარგებლობს ან უახლოეს მომავალში ისარგებლებს? რამდენად მომგებიანი იქნება საქართველოსთვის თუნდაც რუსეთის ბაზრის გახსნა?

თუ საქართველო ხელს მოაწერს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებას, ქვეყანა შეძლებს განახორციელოს საქონლისა და მომსახურების ექსპორტი ევროკავშირის ბაზარზე და განავითარებს სავაჭრო მექანიზმებს. როგორც ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება უზრუნველყოფს ვაჭრობის შეძლებისდაგვარად სრულ ლიბერალიზაციას. გარდა ამისა, ეს ბევრად მეტია, ვიდრე თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება; იგი ეხება არა მხოლოდ ვაჭრობის ლიბერალიზაციას ყველა სფეროში, არამედ პარტნიორი ქვეყნების სავაჭრო კანონმდებლობის ჰარმონიზაციას ევროკავშირის სტანდარტებთან [9]. ეს მოიცავს ისეთ რეგულაციებს, რომლებიც მიმართულია სტაბილური და ზრდაზე ორიენტირებული ეკონომიკური პოლიტიკის უზრუნველყოფისკენ, რაც გაზრდის ქვეყნის კონკურენტუნარიანობას. ეს გულისხმობს გამჭვირვალობის ხარისხის და კონკურენციის დებულებების გაუმჯობესებას, ასევე ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვას. ევროკავშირის ბაზრის უპირატესობით სარგებლობა პირდაპირ კავშირშია ევროკავშირის ქვეყნებიდან პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადების ზრდასთან, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკის და ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას.


შეიქმნება თავისუფალი, სტაბილური და პროგნოზირებადი გარემო, რაც ევროპის ქვეყნებიდან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს გაზრდის. ევროპის საერთო ეკონომიკურ სივრცეში შესვლით ქართული პროდუქცია იმავე პირობებით ისარგებლებს, როგორც ადგილობრივი პროდუქტები სარგებლობს. ეს რომ მოხდეს, ქართულმა პროდუქტებმა მკაცრი ევროპული მოთხოვნები უნდა დააკმაყოფილოს, რაც რთული და ხანგრძლივი პროცესია, მაგრამ საბოლოოდ ქვეყანაში წარმოებული პროდუქციის ხარისხს გააუმჯობესებს და შესაბამისად, ექსპორტის პოტენციალს გაზრდის. გარდა ამისა, საქართველო მეტად იქნება ფოკუსირებული სურსათის უვნებლობისა და მომხმარებლის დაცვის ასპექტებზე. ევროპულ ბაზარს 500 მილიონი მომხმარებელი ჰყავს, რომელთა საშუალო წლიური შემოსავალი 39,000 აშშ დოლარია, და 16 ტრილიონ ევროზე მაღალი მთლიანი შიდა პროდუქტი აქვს. საპროგნოზო გათვლებით, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების ხელმოწერის შემთხვევაში საქართველოს ექსპორტი ევროკავშირში მინიმუმ 12%-ით გაიზრდება, ხოლო ევროკავშირიდან იმპორტი 7.5%-ით. გრძელვადიან პერსპექტივაში, საქართველოს მშპ 4.3%-ით ანუ, 292 მილიონი ევროთი მოიმატებს, თუ მოხდება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების განხორციელება და მომავალში მისი ეფექტიანად გაგრძელება [10].

წონასწორობის გამოთვლით მოდელებზე (CGE) დაყრდნობით ჩატარდა სხვადასხვა კვლევა, რათა მომხდარიყო იმ ფეექტების შეფასება და შედარება, რომლებსაც, ერთი მხრივ, ევრაზიულ საბაჟო კავშირში გაერთიანება და, მეორე მხრივ, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების განხორციელება მოახდენდა ქვეყნების ეკონომიკებზე. მოდელირება უკრაინის ეკონომიკაზე ჩატარდა ამ ქვეყნის საბაჟო კავშირში გაერთიანების და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების განხორციელების შემთხვევებში. ამ კვლევების თანახმად, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების შემთხვევაში უკრაინის მშპ 11.8%-ით გაიზრდება, ხოლო საბაჟო კავშირში განწერიანების შემთხვევაში, მშპ 3.7%-ით შემცირდება [11]. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება მკვეთრად გაზრდის ვაჭრობას როგორც ექსპორტის, ასევე იმპორტის თვალსაზრისით, ხოლო საბაჟო კავშირის წევრობა მთლიან სავაჭრო ბრუნვას შეამცირებს. ყველაზე დიდი ფეექტი ექსპორტის კუთხით იქნება – საბაჟო კავშირის წევრობის შემთხვევაში უკრაინული ექსპორტის გრძელვადიანი ზრდა, ამ კავშირის ყველა ქვეყანაში ექსპორტის პირობებში, 17.9%-ის ტოლია, ხოლო ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების შემთხვევაში – 46.1% [12].


აღსანიშნავია, რომ ევროკავშირი მნიშვნელოვან დახმარებას უწევს ქვეყნებს იმ რეფორმების განხორციელებაში, რომლებიც დაკავშირებულია ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებასთან. 2011-2013 წლებში საქართველომ 31 მილიონი ევროს დახმარება მიიღო და მნიშვნელოვან დახმარებას მომავალშიც მიიღებს იმ რეფორმების გასატარებლად, რომლებიც მიმართულია ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების მოთხოვნების შესრულებისაკენ 2014-2020 წლებში [9].

თუმცა, რუსეთის მთავრობა არასწორ წარმოდგენას ქმნის, რომ ევრაზიული საბაჟო კავშირი ევროკავშირთან დიალოგში შევა. იგი აცხადებს, რომ ეკონომიკური სარგებლის მოტანის გარდა, ევრაზიის საბაჟო კავშირი ხელს შეუწყობს წვერი ქვეყნების ევროკავშირთან ინტეგრაციას. ეს შორს არის რეალობისგან, რადგან ევროკავშირმა უკვე განაცხადა, რომ ევრაზიის საბაჟო კავშირი და ევროკავშირთან ინტეგრაცია არათავსებადია ერთმანეთთან და ეს არის ორი ერთმანეთისგან დამოუკიდებელი წარმონაქმნი, რომელთა შორისაც არჩევანი არის გასაკეთებელი.

2005 წელს, სანამ რუსეთი საქართველოზე ემბარგოს დაწესებდა და საქართველო ჯერ კიდევ დსთ-ის წევრი იყო, საქართველოს ექსპორტი ევროკავშირის ქვეყნებში მნიშვნელოვნად აღემატებოდა მის ექსპორტს რუსეთის ფედერაციაში. ევროკავშირის ქვეყნებში საქართველოს ექსპორტი, მონეტარულ გამოსახულებაში, 216 მილიონ აშშ დოლარს შეადგენდა, ხოლო რუსეთში 153 მილიონ აშშ დოლარს. საქართველოს ექსპორტი თურქეთში, რომელიც ქვეყნის მთავარი სავაჭრო პარტნიორი იყო, ოდნავ ნაკლები იყო რუსეთში ექსპორტზე. აღსანიშნავია, რომ რუსეთის მიერ ემბარგოს დაწესებიდან დღემდე, საქართველოს ექსპორტი დსთ-ის ქვეყნებში ოთხჯერ გაიზარდა – 241 მილიონიდან 778 მილიონამდე, და 5-ჯერ აღემატება ემბარგოს დაწესებამდე რუსეთში განხორციელებული ექსპორტის მოცულობას. იხილეთ, გრაფიკები ქვემოთ:



ეს ნიშნავს იმას, რომ საქართველომ შეძლო საკუთარი ბაზრების დივერსიფიკაცია, ახალი ბაზრების მოძიება, პროდუქციის მოცულობის და კონკურენციის ხარისხის გაზრდა. ეს ციფრები ზოგად წარმოადგენს გვიქმნის იმაზე, თუ რა შეიძლება დაკარგოს საქართველომ, თუ ევრაზიის საბაჟო კავშირის წევრობას აირჩევს ევროპული ინტეგრაციის ნაცვლად და რუსეთის მიერ დაწესებული წესებით ითამაშებს. საქართველოსთვის რუსეთის ბაზარი ხელმისაწვდომი გახდება რუსეთის წესებით და ქვეყანა, ფინანსურ და ეკონომიკურ დამოუკიდებლობასთან ერთად, ყველა იმ მიღწევასა და პროგრესს დაკარგავს, რასაც საერთაშორისო ბაზარზე ბოლო 10 წლის განმავლობაში მიაღწია.



2012 წელს, საქართველოს ვაჭრობა ევრაზიის საბაჟო კავშირის ქვეყნებთან – ბელარუსთან, რუსეთსა და ყაზახეთთან – ქვეყნის მთლიანი ექსპორტის 10%-ს შეადგენდა. ეს წილი არ შეცვლილა 2013 წლის პირველი სამი კვარტლის მონაცემებით. 2013 წელს ამ სამ ქვეყანაში განხორციელებული ექსპორტის 50% რუსეთზე მოდის. ევრაზიის საბაჟო კავშირის არც ერთი ქვეყანა არ არის საქართველოს წამყვან ხუთ საექსპორტო პარტნიორს შორის, რომლებიც არიან აზერბაიჯანი (26%), სომხეთი (11%), თურქეთი (7%), აშშ და უკრაინა (6%). იგივეს აჩვენებს საქართველოს იმპორტის სტატისტიკა: ამ სამი ქვეყნიდან განხორციელებული იმპორტის 70% რუსეთზე მოდის, რის შედეგადაც ის ქვეყნის საიმპორტო პარტნიორების პირველ ხუთეულში შედის, რომელთა შორის ასევე არიან თურქეთი (17%), უკრაინა, აზერბაიჯანი და ჩინეთი 8% [13].

მეორე მხრივ, ევროკავშირი საქართველოს ერთ-ერთი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია, რომელზეც სავაჭრო ბრუნვის 27%, ანუ წელიწადში საშუალოდ 2.8 მილიონი აშშ დოლარი მოდის. საშუალო წლიური ექსპორტი 400 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს, რაც საქართველოს მთლიანი ექსპორტის 15-16%-ია. საშუალო წლიური იმპორტი კი 2.4 მილიარდი აშშ დოლარის ტოლია და მთლიანი იმპორტის 29-31%-ს შეადგენს [10]. ევროკავშირში ძირითად საექსპორტო პროდუქტებს შორის არის კაკალი, თხილი, ღვინო, მინერალური წყლები, ალკოჰოლური სასმელები, ხილისა და ბოსტნეულის წვენები, უალკოჰოლო სასმელები, მინერალური სასუქები, ჯართი, და სხვა. ამ მონაცემებს ზრდის სერიოზული პერსპექტივა აქვს მას შემდეგ, რაც ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების შევა ძალაში.

სინამდვილეში, ევრაზიული საბაჟო კავშირი არ არის ხელსაყრელი მისი წევრი ქვეყნებისათვის. ის ფაქტი, რომ რუსეთი ბელარუსსა და ყაზახეთს მთელ რიგ შეღავათებს ანიჭებს იმ მსხვერპლისთვის, რომელიც ამ ქვეყნებმა ამ კავშირში გაერთიანებისთვის გაიღეს, კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ევრაზიული საბაჟო კავშირის მძლავრ პოლიტიკურ დატვირთვაზე. ბელარუსი საკუთარი მშპ-ის 15%-დან 18%-მდე მოცულობის სუბსიდიებს იღებს ნავთობზე რუსეთიდან. 2011 წელს ფინანსური კრიზისის დროს რუსეთმა ბელარუსს 20 მილიარდი აშშ დოლარის ანტიკრიზისული პაკეტი შესთავაზა სამი წლით. უკვე არც ყაზახეთია ევრაზიული საბაჟო კავშირის წევრობით კმაყოფილი. ამ კავშირის წევრობამ ყაზახეთს ვაჭრობა შეუზღუდა. ყაზახეთი იძულებული იყო საკუთარი საშუალო საბაჟო ტარიფები გაეზარდა 6.7%-დან 11.1%-მდე შეუნონელ საფუძველზე და 5.3%-დან 9.5%-მდე იმპორტით შენონილ საფუძველზე; მსოფლიო ბანკის თანახმად, ყაზახეთის საბაჟო კავშირში გაერთიანების ფასი საბაზისო სცენარში მისი მშპ-ის 0.2%-ია [11]. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის განწევრიანების შემდეგ, ბელარუსმა და ყაზახეთმა დაიწყეს უკმაყოფილების გამოთქმა, რომ რუსეთის ვალდებულებები მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წინაშე მათ მიმართაც გამოიყენებოდა. აღნიშნული საქართველოს საბაჟო კავშირში გაერთიანების პოტენციურ სარგებელს კიდევ უფრო ბუნდოვანს ხდის.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველოსთან ერთად სომხეთმაც დაასრულა ევროკავშირთან მოლაპარაკებები ასოცირების ხელშეკრულებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების თაობაზე. თუმცა, სომხეთზე რუსეთის ზეწოლის გამო, ასევე უკრაინის წინააღმდეგობის გამო, შე-



უერთდეს ევრაზიულ საბაჟო კავშირს, სომხეთის მთავრობამ პოლიტიკური განცხადება გააკეთა სომხეთის მზადყოფნის შესახებ, განეწიანდეს ევრაზიულ საბაჟო კავშირში. პრაქტიკულად, საბაჟო სივრცე მხოლოდ იმ ქვეყნებისთვის არის შესაფერისი, რომლებსაც საერთო საზღვრები აქვთ. აქედან გამომდინარე, სომხეთს საბაჟო კავშირში გაერთიანება მხოლოდ საქართველოს გავლით შეუძლია (ვინაიდან აზერბაიჯანის საზღვრები სომხეთთან ჩაკეტილია) [14]. ეს არგუმენტი ევრაზიის საბაჟო კავშირში საქართველოს გაერთიანების სატრატეგიულ მნიშვნელობას ზრდის. რუსეთს ასევე არ სურს უკრაინის ინტეგრირება ევროგაერთიანებაში და მან 2013 წლის ივლისსა და აგვისტოში ამ ქვეყანას სანქციები დაუწესა. რუსეთის სურვილია უკრაინა ევრაზიის საბაჟო კავშირში განეწიანდეს და ამიტომაც რუსეთის ოფიციალური წარმომადგენლები უკრაინას ემუქრებიან კიდევ საბაჟო პროცედურების გამკაცრებით [11].

და ბოლოს, ევრაზიული საბაჟო კავშირი გეოგრაფიულ შეზღუდვებზე დაფუძნებული სავაჭრო და ეკონომიკური კავშირია. ვაჭრობის გეოგრაფიული ნიშნით შეზღუდვა არც ერთ შემთხვევაში არ იქნება მომგებიანი. ევროკავშირი და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის სხვა წევრი ქვეყნები გაცილებით უკეთესი შესაძლებლობებია საქართველოსთვის. უფრო შეზღუდულ ეკონომიკური სივრცეში შესვლა, სადაც მკაცრი სავაჭრო რეჟიმებია, გაუმართლებელია ეკონომიკური თვალსაზრისით, განსაკუთრებით გლობალიზაციის პირობებში. თვითიზოლაცია არ არის ის არჩევანი, რაც უნდა გააკეთოს ისეთმა ქვეყანამ, როგორც საქართველოა, რომელიც ამჟამად ინტეგრირებულია მსოფლიო ვაჭრობაში. ევრაზიული საბაჟო კავშირის ეკონომიკურ სარგებელზე რამდენიმე კვლევაა ჩატარებული. ვინჯას დე სუზას კვლევაში (2011) ნათქვამია, რომ ევრაზიის საბაჟო კავშირი მშპ-ის შემამცირებელი ჩარჩოა, რომელსაც ვაჭრობის შეზღუდვის ნეგატიური ეფექტი უფრო მოაქვს, ვიდრე ახალი ვაჭრობის ნახალისების პოზიტიური ეფექტი. ამრიგად, ევრაზიული საბაჟო კავშირი გარკვეული ხარისხით ვაჭრობის შეზღუდვას იწვევს, რაც არ არის ეკონომიკურად და პოლიტიკურად მომგებიანი.

გარდა ამისა, ევრაზიული საბაჟო კავშირი მოსკოვის გავლენის ქვეშ ყოფილი საბჭოთა კავშირის რეინტეგრაციის მცდელობად არის მიჩნეული. ეკონომიკური თვალსაზრისით, ევრაზიული საბაჟო კავშირი პრობლემატურია წევრი ქვეყნების სხვადასხვა ეკონომიკური ინტერესებისა და სტრუქტურების გამოც. მაგალითად, ყაზახეთი ნედლი მასალის ექსპორტიორია, ბელარუსი საბჭოთა ტიპის სამრეწველო საქონლის ექსპორტიორი, ხოლო რუსეთს პროტექციონისტური როლი აქვს. გარდა ამისა, როგორც აღინიშნა, ევრაზიულ საბაჟო კავშირს მესამე მხარეებთან თავსებადობის პრობლემა აქვს და განსაკუთრებით, ის საფრთხეს უქმნის საქართველოს მისწრაფებას ევროპული ინტეგრაციისკენ, ვინაიდან ევრაზიის საბაჟო კავშირი არ არის თავსებადი ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების წინაპირობებთან.

გამოყენებული ლიტერატურა:

[1] Dragea R., Wolczuk K., Russia, the Eurasian Customs Union and the EU: Cooperation, Stagnation or Rivalry? Chatham House. Briefing Paper. 2012. ნანახია 22 ოქტომბერს ვებგვერდზე: <http://www.chathamhouse.org/publications/papers/view/185165>

[2] Keene E., Growing the Eurasian Customs Union within the WTO. May 2013. Carnegie Endowment for International Peace. 2012. ნანახია 21 ოქტომბერს ვებგვერდზე: <http://carnegieendowment.org/2013/05/30/growing-eurasian-customs-union-within-wto/g7ee>

[3] Carneiro F.G., What Promises Does the Eurasian Customs Union Hold for the Future? The World Bank. February 2013. # 108. ნანახია 22 ოქტომბერს ვებგვერდზე: <http://siteresources.worldbank.org/EXTPREMNET/Resources/EP108.pdf>

[4] European Bank for Reconstruction and Development (EBRD). Regional Trade Integration and Eurasian Economic Union. ნანახია 2013 წლის 23 ოქტომბერს ვებგვერდზე: <http://tr.ebrd.com/chapter-4/regional-trade-integration-and-eurasian-economic-union>

[5] Shumylo-Tapiola O., The Eurasian Customs Union Friend or Foe of the EU? Carnegie Endowment for International Peace. 2012. ნანახია 21 ოქტომბერს ვებგვერდზე: <http://carnegieendowment.org/2012/10/03/eurasian-customs-union-friend-or-foe-of-eu/dyir>

[6] Center for Economic and Social Development (CESD). Considering Accession to the Eurasian Economic Union: For Azerbaijan, Disadvantages Outweigh Advantages. May 2013. ნანახია 24 ოქტომბერს ვებგვერდზე: <http://cesd.az/new/2013/05/considering-accession-to-the-eurasian-economic-union-for-azerbaijan-disadvantages-outweigh-advantages-independent-economic-assessment/>

[7] Center for Economic and Social Development (CESD). Accession to the Customs Union: Shaping the Strategy for Azerbaijan. ნანახია 24 ოქტომბერს ვებგვერდზე: http://cesd.az/new/wp-content/uploads/2011/05/CESD_-_Customs_Union_Accession_Paper.pdf

[8] ვაჭრობა საქართველოსთან. სავაჭრო რეჟიმები. ნანახია ვებგვერდზე: <http://www.tradewithgeorgia.com/?115/>

[9] The EaP's bilateral dimension. Eastern Partnership. <http://www.easternpartnership.org/content/eap-s-bilateral-dimension>



[10] საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო. ღია და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება წარმატებით დასრულდა. <http://www.economy.ge/ge/media/news/saqartvelom-evrokavsirtan-molaparakeba-dcfta-is-sesaxeb-warmatebit-daasrula>

[11] Movchan, V., 2011. Ukraine's Trade Policy Choice: Pros and Cons of Different Regional Integration Options. Analytical Report. Institute for Economic Research and Policy Consulting.

[12] Shepotylo, O., 2010. A Gravity Model of Net Benefits of EU Membership: The Case of Ukraine, Journal of Economic Integration 25, no 4.

[13] საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახური. საგარეო ვაჭრობის ტენდენციები. ნანახია 24 ოქტომბერს ვებგვერდზე: http://geostat.ge/index.php?action=page&p_id=137&lang=eng

[14] Minasyan S., 2013. Armenia and Georgia: A New Pivotal Relationship in the South Caucasus? PONARS Eurasia Policy Memo No. 292.



ფალიაშვილი/მოსაშვილის ქ. 85/24. მეოთხე სართული. 0162. თბილისი. საქართველო.
ტელ/ფაქსი: +995 32 2 207 305
e-mail: info@eprc.ge
www.eprc.ge